უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საფეხური 2

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

15 თებერვალი 2023

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი - ივანნა
გვარი - მაჩიტიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	საერთაშორისო ურთიერთობები
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	დონე 7
4	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, 0160, ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის ქუჩა, #1/პეკინის გამზირი #42ა
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 28.09.2021, N990143
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	28.09.2021

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	28.09.2022
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31.12.2028

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგის გადახედვა და დაზუსტება (მათ შორის, მეტი აქცენტის გაკეთება პოლიტიკის მიმართულებას, უსაფრთხოებასა და რეგიონალურ პოლიტიკურ სისტემებზე);
2. რეკომენდირებულია, პროგრამის მიღების წინაპირობად განისაზღვროს (ზეპირი ან/და წერითი საგამოცდო ფორმატით ჩატარებული) ინგლისურ ენაში B2 დონის მოთხოვნა ან ჩატარდეს ინგლისური ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტი;
3. რეკომენდირებულია, პროგრამის მიღების წინაპირობის გამოცდის/გასაუბრების ფორმატი იყოს გამჭვირვალე, პროცედურისა და შეფასების მკაფიო კრიტერიუმებისა და რუბრიკის მითითებით;
4. რეკომენდირებულია, რიგ სასწავლო კურსებში არსებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამებოდეს სწავლების საფეხური;
5. რეკომენდირებულია პროგრამაში გაძლიერდეს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების სწავლება;
6. რეკომენდებულია დაცულ სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებული აკადემიური ლიტერატურის მითითებისა და ნაშრომის გაფორმების წესი სრულად შეესაბამებოდეს დაწესებულების მიერ შერჩეულ სტანდარტებს;
7. რეკომენდებულია, ყველა დაცულ სამაგისტრო ნაშრომში კვლევის დიზაინისთვის აუცილებელი კომპონენტებისა და მათი თანმიმდევრულობის არსებობა (მათ შორის კვლევის მიზნები, ამოცანები, კვლევის კითხვები, ჰიპოთეზები, კვლევის მეთოდები და სხვა) იყოს უზრუნველყოფილი;
8. რეკომენდებულია, რიგ სასწავლო კურსებში გუნდური მუშაობის ელემენტის ჩართულობის გაძლიერება კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით;
9. რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების: თავდაცვის ეკონომიკა; ევროკავშირის სამართალი; კავკასია XIX-XX; ოკუპაციის, კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია; საერთაშორისო ურთიერთობების თეორია; საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი; საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი; ტერორიზმი და უსაფრთხოება; შედარებითი პოლიტიკა - სილაბუსებში დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდები იყოს დაკონკრეტებული შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებითა და რუბრიკით;
10. რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია კვლევით-სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართულობის შესახებ;

---

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

11. რეკომენდებულია პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის გამოყენების მიზნით, პერიოდულად ხდებოდეს პროგრამის დადარება უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და აღნიშნული პროცესი იყოს ფორმალიზებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 1 წელი (2022 წლის 28 სექტემბრამდე), საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2021 წლის 28 სექტემბერს. შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა - საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა ანგარიში წარმოადგინა 27 სექტემბერს 2022 წელს.

გაცემული რეკომენდაციების საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინების მიზნით სამოქმედო გეგმის შედგენა განხორციელდა საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. სამუშაო პროცესის ფარგლებში მოხდა შესასრულებელი რეკომენდაციების განხილვა და პროგრამაში საჭირო ცვლილებების განხორციელების ეტაპების დადგენა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით, ცვლილებები განხილული იქნა სამართლისა და პოლიტიკის სკოლის მოწვეული და აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობით.

მისასალმებელია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა შესასარულებელი რეკომენდაციები და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები როგორც პროგრამაში და სილაბუსებში, ისე დანარჩენ დოკუმენტაციაში, როგორიცაა აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზი.

რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია, დაზუსტდეს ბაზრის კვლევის ფოკუს-ჯგუფისთვის შერჩეული ორგანიზაციები, რათა თავიდან იყოს აცილებული ცდომილება (bias) კვლევის შედეგების ანალიზისა და პროგრამის პრიორიტეტების დადგენისას;
2. სასურველია აკადემიური წერის საკითხების გაძლიერება სასწავლო პროგრამაში. სასურველია პლაგიატის პროგრამის აქტიური გამოყენება ყოველი კურსის მიმდინარეობეისას, რათა პლაგიატზე შემოწმდეს ნებისმიერი კურსის ფარგლებში

---

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

შესრულებული წერითი დავალება (ესსე, რეფერატი და სხვა), რაც, სტუდენტს გაუძლიერებს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტს;

3. სასურველია, სტუდენტებს სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობა ჰქონდეთ ელექტრონული ბაზის მეშვეობით დამოუკიდებლად;
4. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თავიანთი მაგისტრანტების ნაშრომის სტრუქტურას, განსაკუთრებით კვლევის დიზაინისა და კომპონენტების თვალსაზრისით;
5. სასურველია, მოწესრიგდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის დოკუმენტაცია;
6. სასურველია, პროგრამის მდგრადობის მეტი თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილ იქნას პროგრამული ბიუჯეტი;
7. სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უფრო მეტად იყოს ჩართული პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესში;
8. სასურველია, სტუდენტი იყოს გრძელვადიანი სტატუსით წარმოდგენილი თვითშეფასების ჯგუფში;
9. სასურველია, პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ იქნას თანამშრომლობა და კონტაქტები როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო, განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების მიზნით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განიხილა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევები, რის შემდგომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაიგეგმა რიგი ღონისძიებები, რათა მოხდეს გასაუმჯობესებელი მხარეების სწორი პრიორიტეზაცია. აკრედიტაციის საბჭოს რჩევები სრულიად გათვალისწინებული იქნება საჭიროების შემთხვევაში.

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგი და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება[13]	**1.2. პროგრამის სწავლის შედეგები**
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგის გადახედვა და დაზუსტება (მათ შორის, მეტი აქცენტის გაკეთება პოლიტიკის მიმართულებას, უსაფრთხოებასა და რეგიონალურ პოლიტიკურ სისტემებზე);
შეფასება	**შესრულებულია.** აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით დაიხვეწა პროგრამის სწავლის შედეგები, განსაკუთრებით ცოდნის და გაცნობიერების ნაწილში. შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა „ომი და სტრატეგიის“, „შედარებითი პოლიტიკის“ და „ტერორიზმის და უსაფრთხოების“ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების დაზუსტების საფუძველზე. შესაბამისად, ცოდნა და გაცნობიერების კომპონენტში მეტი აქცენტი გაკეთდა საერთაშორისო უსაფრთხოების, ეკონომკის და სამართლის საერთაშორისო ასპექტებზე; პოლიტიკური სისტემების და უსაფრთხოების ძირითადი მახასიათებლების სიღრმისეულ შესწავლზე. უნარების ნაწილში პრიორიტეტი მიენიჭება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური მიდგომების მოძიებას. მიმდინარე მოვლენების გაანალიზებას სანდო წყაროების საფუძველზე, უახლესი საინფორმაცი ტექნოლოგიების გამოყენებაზე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსთვის აქტუალური საკითხების შემთხვევაში.
მტკიცებულებ(ები)ა	პროგრამის სასწავლო გეგმა

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

რეკომენდაცია II	რეკომენდირებულია, პროგრამის მიღების წინაპირობად განისაზღვროს (ზეპირი ან/და წერითი საგამოცდო ფორმატით ჩატარებული) ინგლისურ ენაში B2 დონის მოთხოვნა ან ჩატარდეს ინგლისური ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტი.
შეფასება	**შესრულებულია.** საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის წინაპირობები განსაზღვრულია შემდეგნაირად: 1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში;_ 2) საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება; 3) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: - დოკუმენტაციის ანალიზი - ამ ეტაპზე ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საერთო სააპლიკაციო ფორმის შევსება, რომელიც მოიცავს აპლიკანტის პროფესიული ბიოგრაფიის შეფასებას; - წერითი გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე) - გამოცდიდან განთავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერთიფიკატს (TOEFL/ IELTS) ან ბაკალავრის ან შემდგომი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებული აქვთ ინგლისურ ენაზე - გამოცდა სპეციალობაში რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა საერთაშორისო ურთერთობების სფეროში.
მტკიცებულებ(ები)ა	საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**
რეკომენდაცია III	 რეკომენდირებულია, პროგრამის მიღების წინაპირობის გამოცდის/გასაუბრების ფორმატი იყოს გამჭვირვალე, პროცედურისა და შეფას ების მკაფიო კრიტერიუმებისა და რუბრიკის მითითებით;
შეფასება	**შესრულებულია.** გაცემული რეკომენდაციის მიხედვით გაიწერა მისაღემი გამოცდის კომპონენტები, შეფასების კომპონენტები, გამოცდის ხანგრძლივობა. საორიენტაციოდ წარმოდგენილია თემების ჩამონათვალი, რომელიც მოიწავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა საქართველო და მისი სამეზობლო, მსოფლიო ისტორიის ზოგადი

	მიმოხილვა, საერთაშორისო ორგანიზაციები. ხელმისაწვდომია რეკომენდებული ლიტერატურის ჩამონათვალი შიდა გამოცდისთვის მოსამზადებლად.
მტკიცებულებ(ები)ა	საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა; შიდა საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდა (დანართი 4).

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.3. სასწავლო კურსი**
რეკომენდაცია IV	რეკომენდირებულია, რიგ სასწავლო კურსებში არსებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამებოდეს სწავლების საფეხური;
შეფასება	**შესრულებულია.** შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა და აისახა სასწავლო კურსების სილაბუსებში. სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი განახლდა მაგისტრატურის მოთხოვნების შესაბამისად ისეთი სასწავლო კურსების შემთხვევაში, როგორიცაა „კვლევის მეთოდები და აკადემიური წერა“, „ომი და სტრატეგია“, „შედარებითი პოლიტიკა“, „ტერორიზმი და უსაფრთხოება“.
მტკიცებულებ(ები)ა	- ზემოთ აღნიშნული საგნების სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**
რეკომენდაცია V	რეკომენდირებულია პროგრამაში გაძლიერდეს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების სწავლება.
შეფასება	**შესრულებულია.** ზემოთ აღნიშნული ცვლილებები განხორციელდა კვლევის მეთოდების და აკადემიური წერის სასწავლო კურსის სილაბუსის ფარგლებში. შესაბამისად, ყურადღება ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორიცაა რაოდენობრივი კვლევის სპეციფიკა და ამ კვლევითი სტრატეგიის გამოყენება თვისებრივ მეთოდებთან კომბინაციაში.
მტკიცებულებ(ები)ა	შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსი

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**
რეკომენდაცია VI	

	რეკომენდებულია დაცულ სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებული აკადემიური ლიტერატურის მითითებისა და ნაშრომის გაფორმების წესი სრულად შეესაბამებოდეს დაწესებულების მიერ შერჩეულ სტანდარტებს;
შეფასება	**შესრულებულია.** აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით გაიმართა შეხვედრები როგორც სამაგისტრო ნაშრომების პოტენციურ ხელმძღვანელებთან, ასევე სტუდენტებთან აკადემიური სტილის და გაფორმების სტანდარტებთან დაკავშირებით. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა უკვე დაცული სამაგისტრო ნაშრომები.
მტკიცებულებ(ები)ა	დაცული სამაგისტრო ნაშრომები

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**
რეკომენდაცია VII	რეკომენდებულია, ყველა დაცულ სამაგისტრო ნაშრომში კვლევის დიზაინისთვის აუცილებელი კომპონენტებისა და მათი თანმიმდევრულობის არსებობა (მათ შორის კვლევის მიზნები, ამოცანები, კვლევის კითხვები, ჰიპოთეზები, კვლევის მეთოდები და სხვა) იყოს უზრუნველყოფილი;
შეფასება	**შესრულებულია.** როგორც აღნიშნულია წინა რეკომენდაციის შემთხვევაში, შეხვედრები სამაგისტრო ნაშრომების პოტენციურ ხელმძღვანელებთან გაიმართა არამხოლოდ აკადემიური წერის და კვლევითი ნაშრომის ფორმატის სტანდართებთან დაკავშირებით, არამედ კვლევის დიზაინთან დაკავშირებით. კვლევის დეპარტამენტის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა შესაბამისი შეხვედრები, რომელიც აქცენტს აკეთებს კვლევის პროცესის საკვანძო ასპექტებზე.
მტკიცებულებ(ები)ა	- დაცული სამაგისტრო ნაშრომები

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები**
რეკომენდაცია VIII	რეკომენდებულია, რიგ სასწავლო კურსებში გუნდური მუშაობის ელემენტის ჩართულობის გაძლიერება კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით;
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.**

	პროგრამის განვითარებაში და სასწავლო პროცესში ჩართული სამუშაო ჯგუფის და აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლების ჩართულობით გუნდური მუშაობის კომპონენტი (მაგ. ჯგუფური პრეზენტაცია, ჯგუფში მიმდინარე პრაქტიკული მეცადინეობა, სადაც ჯგუფი კომპლექტდება 2-3 სტუდენტისაგან და ისინი ერთი კვირის განმავლობაში იწყებენ მუშაობას მათთვის მიცემულ თემაზე, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია განვლილ სასწავლო მასალასთან) დაემატა ისეთი რიგი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შემთხვევაში, როგორიცაა „შედარებითი ვალდებულო და არჩევპოლიტიკა“, „კვლევის მეთოდები“, „ომი და სტრატეგია“, „კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი განვიტარების ისტორია“, „თავდაცვის ეკონომიკა“. აღნიშნული დასტურდება ხელმისაწვდომი დოკუმენტაციით.
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 3)

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.6. სტუდენტების შეფასება**
რეკომენდაცია IX	რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების: თავდაცვის ეკონომიკა; ევროკავშირის სამართალი; კავკასია XIX-XX; ოკუპაციის, კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია; საერთაშორისო ურთიერთობების თეორია; საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი; საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი; ტერორიზმი და უსაფრთხოება; შედარებითი პოლიტიკა - სილაბუსებში დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდები იყოს დაკონკრეტებული შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებითა და რუბრიკით.
შეფასება	**უმეტესწილად შესრულებულია.** როგორც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (დანართი 3), რეკომენდაციაში ნახსენები სასწავლო კურსების შემთხვევაში დაზუსტდა ფინალური შეფასების კომპონენტები (ღია შეკითხვები, კაზუსები) და კრიტერიუმები, დეტალურად გაიწერა შეფასების რუბრიკები. ამავე დროს, სასურველია სამომავლოდ შეფასების კომპონენტების და ფინალური გამოცდის ფორმატის მეტი მრავალფეროვნების უზრუნველყოფა.
მტკიცებულებ(ები)ა	- პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

კომპონენტის დასახელება	**4.1. ადამიანური რესურსი**
რეკომენდაცია X	რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია კვლევით-სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართულობის შესახებ.
შეფასება	**შესრულებულია.** უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემას დაემატა მეცნიერული დატვირთვის კომპონენტი, რაც დასტურდება ხელმისაწვდომი დოკუმენტაციით.
მტკიცებულებ(ები)ა	- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა; - დანართი N8. აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების წლიური ანგარიშგების ფორმა

სტანდარტის დასახელება	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
კომპონენტის დასახელება	**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**
რეკომენდაცია XI	რეკომენდებულია პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის გამოყენების მიზნით, პერიოდულად ხდებოდეს პროგრამის დადარება უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და აღნიშნული პროცესი იყოს ფორმალიზებული
შეფასება	**შესრულებულია.** ზემოთ აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ. აქედან გამომდინარე ჩატარდა როგორც დარგის ქართული (საქართველოს უნივერსიტეტი; კავკასიის უნივერსიტეტი; თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (გაუ); შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი) ისე უცხოური სამაგისტრო პროგრამების (მასარიკის და ტროის უნივერსიტეტები) ანალიზი. საგანმანათლებლო პროგრამების შედარება გაკეთდა ისეთი კრიტერიუმების მიხედვით როგორიცაა მისაღები კონტინგენტი და სტუდენტების რაოდენობა ჯგუფებში, სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სწავლების ენა, ინტერნაციონალიზაცია და გაცვლითი პროგრამები, პროგრამის სტრუქტურა და სხვა.

მტკიცებულებ(ები)ა	- ქართული პროგრამების შედარებითი ანალიზი; - უცხოური პროგრამების შედარებით ანალიზი.

ექსპერტის ხელმოწერა